დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება -** აფხაზური ფილოლოგია

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ფილოლოგიის ბაკალავრი

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი

4. **სწავლების ენა** ქართული

5. **პროგრამის ხელმძღვანელი**

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - **თეიმურაზ გვანცელაძე**

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში ან/და ლიტერატურაში. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე სემესტრიდან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში ორი სახელმწიფო ენაა: ქართული ენა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური ენაც. აფხაზური ენის იურიდიული სტატუსი ავალდებულებს ქართულ სახელმწიფოს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ ენის ფუნქციონირების სფეროების სრულად ათვისებას როგორც აფხაზურენოვან საზოგადოებაში, ისე ქართველთა და სხვა ეროვნების მოქალაქეთა შორისაც. სამწუხაროდ, საბჭოური წარსულის ენობრივი პოლიტიკა ხელს არ უწყობდა საქართველოში სახელმწიფო სტატუსის მქონე აფხაზური ენის სათანადოდ გამოყენებას, ამ ენაზე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის წინსვლას. პრიორიტეტულ ენად რუსული მიიჩნეოდა, რაც არარუს მოქალაქეთა მასობრივ დენაციონალიზაციას იწვევდა. ამის გამო აფხაზეთში ინტენსიურად იკლებდა საკუთარი ეროვნების ენის ღრმად მცოდნე აფხაზთა რაოდენობა და განუხრელად მატულობდა რუსულენოვან აფხაზთა რიცხვი. შესაბამისად მცირე იყო აფხაზური ენის მცოდნე ქართველთა რაოდენობაც. ამჟამად ქართულ სახელმწიფოს აუცილებლად ესაჭიროება აფხაზური ენის, აფხაზური ფოლკლორის, აფხაზური ლიტერატურის კარგად მცოდნე სპეციალისტი ფილოლოგები: მასწავლებლები, მთარგმნელები, ლინგვისტები, ფოლკლორისტები, ლიტერატურისმცოდნეები, სოციოლინგვისტები. არსებული ხარვეზის ამოსავსებად აუცილებელია მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტები აფხაზურ ფილოლოგიაში, რომლებსაც შეეძლებათ კომუნიკაცია, თარგმნა, კითხვა და წერა აფხაზურ ენაზე და დასაქმდებიან სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში, სახელისუფლებო სტრუქტურებში, კულტურულ–საგანმანათლებლო სექტორში, გამომცემლობებში, მასმედიაში, არასამთავრობო სექტორში.

პროგრამის მიზანი - მისცეს სტუდენტს მისცეს ცოდნა:

- ზოგადი ფილოლოგიის (ენათმეცნიერების, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურისმცოდნეობის) თეორიულ დისციპლინებში;
- აფხაზური ენის, აფხაზური ფოლკლორისა და აფხაზური ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით;
- ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტარატურის ისტორიის, ქართული ფოლკლორის მიმართულებით;
- სასაუბრო აფხაზურ ენაში იმ დონეზე, რომ პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდგომ იცოდეს 1 500-მდე აფხაზური სიტყვა, შეეძლოს აფხაზურ ენაზე მარტივი ტექსტის მოსმენა და გაგება, აფხაზურ ენაზე კითხვა, წერა და თარგმნა;
- განსაზღვროს თავისი მომავალი საქმიანობა ზოგადად ფილოლოგიისა და, კერძოდ, აფხაზური ფილოლოგიის მიმართულებით.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** – პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს ზოგადი ფილოლოგიის, აფხაზური და ქართული ფილოლოგიის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სტუდენტმა აგრეთვე გააცნობიერა ზოგადი, აფხაზური და ქართული ფილოლოგიის კომპლექსური საკითხები;
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის აფხაზური ენა B 2 დონეზე; შეუძლია გამოიყენოს ზოგადი ფილოლოგიის მეთოდები ფილოლოგიის თეორიული საკითხების, აფხაზური და ქართული ფილოლოგიის აქტუალური პრობლემების საკვლევად, აფხაზურ-ქართულ ენობრივ, ლიტერატურულ და ფოლკლორულ ურთიერთობათა საკითხების მეცნიერული კვლევისათვის.
- **დასკვნის უნარი** – პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია ზოგადი ფილოლოგიის, აფხაზური და ქართული ფილოლოგიის საკითხების კვლევისათვის დამოუკიდებლად მოიპოვოს ემპირიული მასალა ველზე მუშაობის გზით, ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციების გამოყენებით; ახდენს ემპირიული მასალის კლასიფიკაციას და სისტემატიზებას; გამოაქვს მეთოდოლოგიურად გამართული, ლოგიკური და არგუმენტირებული დასკვნები ამა თუ იმ საკითხზე.
- **კომუნიკაციის უნარი** – პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია ზოგადი ფილოლოგიის, აფხაზური და ქართული ფილოლოგიის საკეთხებზე საკუთარი თუ სხვა სპეციალისტების იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ), ნაწილობრივ აფხაზურ ენებზე, აგრეთვე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

- **სწავლის უნარი** – სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მუდმივად შეაფასოს მის მიერ მოსმენილი ყველა დისციპლინის სწავლების ხარისხი და ლექტორთა მუშაობა, რაც დაეხმარება საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებაში, აგრეთვე შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენაში;
- **ღირებულებები** – სტუდენტი აფხაზური ენის სტრუქტურისა, ამ ენის ისტორიის, სასაუბრო ენის, აფხაზური ფოლკლორის, აფხაზური ლიტერატურის ისტორიის, აფხაზი ხალხის ეთნოლოგიისა და სხვა სალექციო კურსების ათვისებით უშუალო მონაწილეობას იღებს აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა აღდგენაში, საზოგადოებაში ტოლერანტიზმის განმტკიცების საქმეში.

9. აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						6	6	6	3					
ა)	***ინგლისური ენა - დამწყებთათვის*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)*													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								*წინაპირობა არ გააჩნია*
2.	ინგლისური ენა II (PreIntermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							*ENGL B 001*
3.	ინგლისური ენა III(Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						*ENGL B 002*
ბ)	***უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)*													
1.	***უცხო ენა I*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2*	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	*65*	*85*	6								წინაპირობის გარეშე
2.	***უცხო ენა II*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1*	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	*65*	*85*		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	***უცხო ენა III*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2*	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	*65*	*85*			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	***დარგობრივი უცხო ენა*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)*	ENGL B 024 GERM B 024 FREN B 024	3	35	40				3					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013

	(ფილოლოგია)	RUSS B 024												RUSS B 013
5.	ენათმეცნიერების შესავალი	PHIL B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
6.	საქართველოს ისტორია	HIST B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
7.	აკადემიური წერა	ACAD B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
8.	კლასიკური ენა /ლათინური/	LAT B101	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
9.	ფილოსოფიის შესავალი	PHLS B101	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 102 კრედიტი														
1.	ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	PHIL B102	6	65	85		6							*წინაპირობის გარეშე*
2.	ლიტერატურის თეორია	PHIL B103	6	65	85			6						*ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი*
3.	ზოგადი ენათმეცნიერება	PHIL B104	6	65	85			6						*ენათმეცნიერების შესავალი*
4.	ქართული გრამატიკის საფუძვლები 1 (ფონეტიკა, ფონოლოგია)	GEO B103	6	65	85		6							*ენათმეცნიერების შესავალი*
5.	ქართული გრამატიკის საფუძვლები 2 (მორფოლოგია)	GEO B104	6	65	85			6						*ქართული გრამატიკის საფუძვლები 1 (ფონეტიკა, ფონოლოგია)*
6.	ქართული გრამატიკის საფუძვლები 3 (სინტაქსი)	GEO B105	6	65	85				6					*ქართული გრამატიკის საფუძვლები 2 (მორფოლოგია)*
7.	აფხაზური ენა 1	ABKH B101	6	65	85		6							*წინაპირობის გარეშე*
8.	აფხაზური ენა 2	ABKH B102	6	65	85			6						*აფხაზური ენა 1*
9.	აფხაზური ენა 3	ABKH B103	6	65	85				6					*აფხაზური ენა 2*
10.	აფხაზური ენა 4	ABKH B104	6	65	85					6				*აფხაზური ენა 3*
11.	აფხაზური ენა 5	ABKH B105	6	65	85						6			*აფხაზური ენა 4*
12.	აფხაზური ენა 6	ABKH B106	6	65	85							6		*აფხაზური ენა 5*
13.	აფხაზური ფოლკლორი	ABKH B107	3	35	40		3							*წინაპირობის გარეშე*
14.	აფხაზური ლიტერატურის ისტორია (ზოგადი მიმოხილვა)	ABKH B108	3	35	40				3					*აფხაზური ფოლკლორი*
15.	კავკასიოლოგიის შესავალი	ABKH B109	3	35	40		3							*წინაპირობის გარეშე*
16.	აფხაზი ხალხის ეთნოლოგია	ABKH B110	3	35	40					3				*წინაპირობის გარეშე*
17.	საკომუნიკაციო აფხაზური ენა 1	ABKH B122	6	65	85					6				*აფხაზური ენა 3*
18.	საკომუნიკაციო აფხაზური ენა 2	ABKH B123	3	35	40						3			*საკომუნიკაციო აფხაზური ენა 1*
19.	**საბაკალავრო ნაშრომი**	ABKH B113	9	75	150								9	*პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები*
ძირითადი (major) სპეციალობის არჩევითი კურსები - 24 კრედიტი														

I.	**ქართველური ენათმეცნიერების ბლოკი - 12 კრედიტი** (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)										**3**	**6**	**3**	
20.	ქართველური ენები (სვანური, ზანური)	GEO B121	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
21.	ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორია	GEO B122	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
22.	დიალექტოლოგია	GEO B118	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
23.	სტილისტიკა	GEO B120	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
24.	ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა	GEO B117	**3**	35	40									*წინაპირობის გარეშე*
	აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის ბლოკი - 12 კრედიტი (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)										**3**	**6**	**3**	
25	ქართულ–აფხაზური ეთნოლოგიური თანხვედრები	ABKH B114	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
26	აფხაზეთის წერილობითი ძეგლები	ABKH B115	**3**	35	40									*წინაპირობის გარეშე*
27	ქართულ–აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობანი	ABKH B116	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
28	ენობრივი სიტუაცია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ABKH B117	**3**	35	40									*წინაპირობის გარეშე*
29	იბერიულ–კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია	ABKH B118	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
30	აფხაზურ–აბაზური დიალექტოლოგია	ABKH B119	**3**	35	40									*წინაპირობის გარეშე*
31	თანამედროვე კავკასიის ენობრივი და ეთნიკური სიტუაცია	ABKH B120	**6**	65	85									*წინაპირობის გარეშე*
32	აბაზური ენა	ABKH B121	**3**	35	40									*წინაპირობის გარეშე*
33.	ქართულ–აფხაზური ლინგვოკულტურული კონტაქტები	ABKH B112	**3**	35	40									*ქართული გრამატიკის საფუძვლები 1,2,3 და აფხაზური ენა 1,2,3,4*
34.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია	ABKH B111	**6**	65	85									*საქართველოს ისტორია*
	თავისუფალი კურსები (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)		**9**							**3**	**3**		**3**	
	დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა *(დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)*		**60**						**12**	**12**	**12**	**12**	**12**	
	ს უ ლ - 240 კრდიტი					**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - აფხაზური ფილოლოგია

- **პროგრამის სახელწოდება** - დამატებითი (Minor) პროგრამა აფხაზური ფილოლოგია
- **სწავლების ენა** - ქართული
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - წინაპირობის გარეშე
- **პროგრამის მიზანი** - აფხაზური ფილოლოგიის დამატებით (Minor) პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება აფხაზური ენისა და ლიტერატურის საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას ფილოლოგიის სფეროში. მთლიანობაში დამატებით (Minor) პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებასა და კვალიფიკაციის შემდგომ საფეხურზე შეცვლის საშუალებას.
  საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში ორი სახელმწიფო ენაა: ქართული ენა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური ენაც. აფხაზური ენის იურიდიული სტატუსი ავალდებულებს ქართულ სახელმწიფოს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ ენის ფუნქციონირების სფეროების სრულად ათვისებას როგორც აფხაზურენოვან საზოგადოებაში, ისე ქართველთა და სხვა ეროვნების მოქალაქეთა შორისაც. აქედან გამომდინარე **პროგრამის მიზანია** მისცეს სტუდენტს ცოდნა და კომპეტენცია:
  - აფხაზური ენის, აფხაზური ფოლკლორისა და აფხაზური ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის და ქართულ–აფხაზური ლინგვოკულტურული კონტაქტების კუთხით.
  - სასაუბრო აფხაზურ ენაში იმ დონეზე, რომ შეეძლოს აფხაზურ ენაზე მარტივი ტექსტის მოსმენა და გაგება, აფხაზურ ენაზე კითხვა, წერა და თარგმნა.

- **სწავლის შედეგები**

  - **ცოდნა და გაცნობიერება** – პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს აფხაზური ფილოლოგიის ზოგადი ცოდნა, რომელიც მოიცავს ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას.

  - **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობს აფხაზური ენას B 1 დონეზე; შეუძლია გამოიყენოს ზოგადი ფილოლოგიის მეთოდები ფილოლოგიის თეორიული საკითხების, აფხაზურ-ქართულ ენობრივ, ლიტერატურულ და ფოლკლორულ ურთიერთობათა საკითხების შესწავლისათვის.

  - **დასკვნის უნარი** – პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად მოიპოვოს ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციები; ახდენს ემპირიული მასალის კლასიფიკაციას და სისტემატიზებას; გამოაქვს მეთოდოლოგიურად გამართული, ლოგიკური და არგუმენტირებული დასკვნები ამა თუ იმ საკითხზე.

  - **კომუნიკაციის უნარი** – პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია აფხაზური ფილოლოგიის საკეთხებზე საკუთარი თუ სხვა სპეციალისტების იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, აგრეთვე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

  - **სწავლის უნარი** – სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მუდმივად შეაფასოს მის მიერ მოსმენილი ყველა დისციპლინის სწავლების ხარისხი და ლექტორთა მუშაობა, რაც დაეხმარება საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებაში, აგრეთვე შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენაში.

  - **ღირებულებები** – სტუდენტი აფხაზური ენის სტრუქტურისა, სასაუბრო ენის, აფხაზური ფოლკლორის, აფხაზური ლიტერატურის ისტორიის და სხვა სალექციო კურსების ათვისებით უშუალო მონაწილეობას იღებს აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა აღდგენაში, საზოგადოებაში ტოლერანტიზმის განმტკიცების საქმეში.

• დამატებითი პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
1.	აფხაზური ენა 1	ABKH B101	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	აფხაზური ენა 2	ABKH B102	6	65	85					6				ABKH B101
3.	აფხაზური ენა 3	ABKH B103	6	65	85						6			ABKH B102
4.	აფხაზური ენა 4	ABKH B104	6	65	85							6		ABKH B103
5.	აფხაზური ენა 5	ABKH B105	6	65	85								6	ABKH B104
6.	აფხაზური ფოლკლორი	ABKH B107	3	35	40				3					წინაპირობის გარეშე
7.	აფხაზური ლიტერატურის ისტორია (ზოგადი მიმოხილვა)	ABKH B108	3	35	40					3				ABKH B107
8.	საკომუნიკაციო აფხაზური ენა 1	ABKH B122	6	65	85							6		*აფხაზური ენა 3*
9.	საკომუნიკაციო აფხაზური ენა 2	ABKH B123	3	35	40								3	*საკომუნიკაციო აფხაზური ენა 1*
არჩევითი კურსები - 15 კრედიტი														
არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან									3	3	6		3	
ს უ ლ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	